პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 იანვარი, სამშაბათი, 1974. ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 18 (15839)

ლენინურ პარტიას ღრმად სწამს დიდი შემოქმედებითი ენერგია ჩვენი ხალხისა, რომელსაც უნარი შესწევს დაძლიოს ყოველგვარი სიძნელე მიზნისაკენ მიმავალ გზაზე. ჩვენი მიზნები კი კეთილშობილური და ჰუმანურია — სამშობლოს აყვავება, ყველა საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობა და ბედნიერება.

პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან

## პრესის მთავარი საზრუნავი

დღითი-დღე ძლიერდება საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება. როცა გადავშლით გაზეთების ახალ ნომრებს, ჩავრთავთ რადიოსა თუ ტელევიზორს, მკაფიოდ ვგრძნობთ სამშობლოს ზუსტ სამუშაო მაჯისცემას, ხუთწლედის მეოთხე წლის შრომითს რიტმს. საწარმოებიდან და მშენებლობებიდან, სამეცნიერო ინსტიტუტებიდან, კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან მოდის ცნობები საბჭოთა ადამიანების სახელოვანი საქმეების შესახებ.

„რაც უფრო უკეთ ვიმუშავებთ ყველანი, მით უფრო მდიდარი იქნება ჩვენი სახელმწიფო", — ასე გამოთქვა თავისი ამხანაგების გრძნობები და აზრები ჩერეპოვეცელმა მუშამ ნიკოლოზ რიაბკოვმა საქალაქო გაზეთ „კომუნისტში" დაბეჭდილ სტატიაში. გაზეთის ტრიბუნიდან წარმოების მოწინავე მსჯელობს იმაზე, თუ რა აღელვებს დღეს ყველას, — თვითეულის მაღალ პასუხისმგებლობაზე წლის გეგმებისა და ვალდებულებების ბედისათვის. „კაზახსტანსკაია პრავდაში" რესპუბლიკის წარჩინებული მეტალურგი სოციალისტური შრომის გმირი ჟ. ალდაბერგენოვი ლაპარაკობს შეჯიბრების ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებაზე — ბრძოლაზე პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის, ქარხნის მარკის ღირსებისათვის. ასეთი გამოსვლები — ამაღელვებელი, საქმიანი, ქვეყნის ინტერესებით ნაკარნახევი გამოსვლები განსაზღვრავენ დღეს ჩვენი პრესის ტონს. ამ გამოსვლებში, როგორც სარკეში, აისახა მილიონთა მხურვალე მისწრაფება დამკვრელური შრომით უპასუხონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. პარტიული ორგანიზაციების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელების მოქმედების კონკრეტული პროგრამა განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებში, 1974 წელს სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ დადგენილებებში. საბჭოთა ადამიანები თავიანთ ძალ-ღონეს ახმარენ პარტიის მიერ დასახული მიჯნების მიღწევას. როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პლენუმზე გამოსვლაში აღნიშნა, ჩვენს მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას კარგად ესმით, რომ მათი კეთილდღეობის წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ შრომა, რომ ისინი თავისი თავისთვის მუშაობენ, რომ გეგმების შესრულებაზე, საზოგადოებრივი დოვლათის ზრდაზე დამოკიდებულია მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების ტემპი. უნდა გამოვიყენოთ პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მთელი ძალა, რათა ამ შეგნებას ხორცი შეესხას ცოცხალი საქმით, მისდამი შემოქმედებითი მიდგომით, საზრიანობით, გამომგონებლობით, ინიციატივით.

იმისათვის, რომ დადგეს ამ მოთხოვნათა დონეზე, წლის პირველი დღეებიდანვე პრესის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს მთავარი პრობლემები — შრომის ნაყოფიერების გადიდება, ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესება, საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედებისა და ათვისების დაჩქარება, ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიური პროცესებისა და მასალების შემუშავება და დანერგვა. თვითეულმა რედაქციამ თავისი შემოქმედებითი წვლილი უნდა შეიტანოს შემოქმედებითი კოლექტივების, წარმოების ნოვატორების მიღწევათა მკაფიო, თვალსაჩინო ჩვენებაში.

ჩვენი პრესის არსენალში შეჯიბრების განვითარებაზე, მისი საჯაროობისა და ქმედითობის გაძლიერებაზე გავლენის ბევრი ნაცადი საშუალებაა. საჭიროა უნარიანად გამოვიყენოთ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა რეალიზაციისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის გაშუქებაში შეძენილი გამოცდილება. ყურადღებას იმსახურებენ შემოქმედებითი ძიებანი გაზეთ „ვიშკისა" (აზერბაიჯანი), რომელიც მიზანდასახულად და ღრმად აანალიზებს შეჯიბრების პრაქტიკას, ენერგიულად უჭერს მხარს ახალს, აქტიურად იღვწის მნიშვნელოვანი თაოსნობების გავრცელებისათვის. ბევრი პერსპექტიული თაოსნობა აქვთ უკრაინისა და ბელორუსიის, მოსკოვისა და ლენინგრადის ჟურნალისტებს. მასების ნამდვილი კოლექტიური ორგანიზატორი გახდა ჩვენი პრესა 1973 წელს მარცვლეულის უხვი მოსავლისათვის დაძაბული ბრძოლის დღეებში. ყველა ეს შემოქმედებითი მონაპოვარი უნდა ვამრავლოთ, გულმოდგინედ ვეძებოთ ქვეყნის შრომითი დღეების ჰეროიკის პუბლიცისტური ასახვის ახალი ფორმები და საშუალებანი.

პრესის საქმიანობაში მთავარი მიმართულება უნდა გახდეს კოლექტივთა მუშაობის ღრმა ანალიზი, ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის შინაგანი რეზერვების, ყველა შესაძლებლობის გამოყენების გამოცდილების განზოგადება. მიზანშეწონილია, რომ გაზეთების რედაქციებმა, ტელევიზიისა და რადიოს სტუდიებმა დანერგონ შეჯიბრების მონაწილე კოლექტივების, წამყვან პროფესიათა მუშების გადაძახილი. როცა მხარს ვუჭერთ და ვავითარებთ მასების ინიციატივას, უნდა დავრწმუნდეთ თუ რამდენად რეალურია თვითეული თაოსნობა, არ დავუშვათ პარადულობა და აურზაური, გულმოდგინედ და განუხრელად ბოლომდე მივგვყავდეს დაწყებული საქმე. უფრო ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ პრესის პრაქტიკაში დანერგილი სპეციალური გვერდები, რომლებიც ეძღვნება შეჯიბრების მიმდინარეობისა და შედეგების ჩვენებას.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოწინავე გამოცდილების, ნოვატორთა მიღწევების შესახებ გამოსვლების ქმედითობის ამაღლებას. მასალის გამოქვეყნება ახლისათვის ბრძოლის შედეგი კი არა, არამედ მხოლოდ დასაწყისია, მას უნდა განამტკიცებდეს რედაქციების, პარტიული კომიტეტების ორგანიზატორული მუშაობა.

შეჯიბრება მრავალმხრივია, ისევე როგორც თვით ცხოვრება. შრომითი შეჯიბრებით, კოლექტივის, საზოგადოების ინტერესებისათვის ზრუნვით ფართოდ ვლინდება ადამიანი, თავს იჩენს მისი საქმეების მშვენიერება, მისი მონაწილეობა საერთო-სახალხო ბრძოლაში სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. საბჭოთა ადამიანების ამ მშვენიერების სულიერი სიმდიდრის შთამბეჭდავად გადმოცემა პრესის კეთილშობილური ამოცანაა. უფრო ღრმად უნდა ვუჩვენებდეთ შეჯიბრების — შემოქმედებითი შრომის ნამდვილი სკოლის, მასების ინიციატივის განვითარების, სოციალისტური კოლექტივიზმის ჩამოყალიბების ქმედითი საშუალების აღმზრდელობით როლს.

მკითხველი, მსმენელი, მაყურებელი პრესის ორგანოებისაგან მოელის სერიოზულ ანალიზურ გამოსვლებს და პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის დაკვირვებულ ჩვენებას, ნარკვევებსა და ჩანახატებს კომუნისტების — შეჯიბრების თაოსნების, ხელმძღვანელების შესახებ. შეჯიბრების შესახებ მასალების მომზადებაში უფრო აქტიურად უნდა ვაბამდეთ მწერლებს, რომლებსაც უნარი შესწევთ მოგვცენ მშრომელი ადამიანების საინტერესო ლიტერატურული პორტრეტები, გვიჩვენონ ჩვენი თანამედროვის სულიერი სამყარო. საჭიროა უფრო სრულად ვუჩვენებდეთ ხუთწლედის დავალებებისა და შრომითი კოლექტივების მიერ დასახული შემხვედრი გეგმების ვადამდე შესრულებისათვის პატრიოტული მოძრაობის სოციალურ, ზნეობრივ არსს.

წარმართავენ რა პრესის, ტელევიზიის, რადიოს მუშაობას, პარტიულმა კომიტეტებმა მათი ყურადღება უნდა მიაპყრონ ხუთწლედის მთავარ, საკვანძო პრობლემებს, უკეთ გამოიყენონ მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებანი ახლის, მოწინავის გავრცელებისათვის და ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლისათვის, შეჯიბრების ორგანიზაციის აქტუალური საკითხების გადაჭრისათვის. მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ პრესაში მონაწილეობისათვის მუშა და სოფლის კორესპონდენტების, მეცნიერებისა და სპეციალისტების, პარტიული და საბჭოთა მუშაკების, მეურნეობის მუშაკების ფართოდ ჩაბმას.

ხუთწლედის მეოთხე წელმა კარგი სტარტი აიღო. ჩვენი პრესის, ტელევიზიისა და რადიოს საბრძოლო ამოცანაა იყონ საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების მებრძოლი ორგანიზატორი, მკაფიოდ ასახონ მილიონთა დამკვრელური ვახტის თვითეული დღე.

«ПРАВДА» 19 იანვრის მოწინავე





21 იანვარს — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 50 წლისთავის დღეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებმა დიდი ბელადის მავზოლეუმი გვირგვინით შეამკეს.

სურათზე: მავზოლეუმს ამკობენ გვირგვინით.

სატასის ფოტო. (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

## დიდი ლენინის ხსოვნისათვის

21 იანვარს — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გარდაცვალების 50 წლისთავის დღეს — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელები ეწვივნენ დიდი ბელადის მავზოლეუმს და გვირგვინით შეამკეს იგი. გვირგვინის ალისფერ ლენტზე წარწერილია: „გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს. სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო".

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ნათელ ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი სცეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ი. ვ. ანდროპოვმა, ა. ა. გრეჩკომ, ვ. ვ. გრიშინმა, ა. ა. გრომიკომ, ა. პ. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, ა. ი. პელშემ, ნ. ვ. პოდგორნიმ, დ. ს. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, ვ. ი. დოლგიხმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, კ. თ. კატუშევმა.

ვ. ი. ლენინის მავზოლეუმს ეწვივნენ აგრეთვე სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გ. თ. სიზოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ბ. ე. დიმშიცი, ვ. ა. კირილინი, მ. ა. ლესეჩკო, ვ. ნ. ნოვიკოვი, ე. ტ. ნოვიკოვი, ზ. ნ. ნურიევი, ლ. ვ. სმირნოვი, ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. შიტიკოვი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ს. ნასრიდინოვა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე. (საკდესი).

## ვ. ი. ლენინის ძეგლი გვირგვინებით შეამკეს

ლენინი! მის სახელთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებულია ძირეული გარდაქმნები, რომლებიც დედამიწაზე მოხდა. ვლადიმერ ილიას-ძის სახელი სამუდამოდ შევიდა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის მატიანეში, მთელ მსოფლიო ისტორიაში. ლენინის გენია აცისკროვნებს ჩვენს ეპოქას.

ვ. ი. ლენინის სახელი განუყოფელია იმ უმნიშვნელოვანესი წარმატებებისაგან, რომლებიც მოიპოვა საბჭოთა ხალხების მრავალეროვანმა ოჯახმა. საბჭოთა საქართველოს ყველა მიღწევა და გამარჯვება თვალსაჩინოდ გამოხატავს ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმს, განასახიერებს საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის ლენინურ იდეებს.

ვ. ი. ლენინის დიდი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები 21 იანვარს, ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 50 წლისთავის დღეს შეიკრიბნენ ილიჩის ძეგლთან ბელადის სახელობის მოედანზე.

აქ მოვიდნენ ბ. გ. გიგიბერია, პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, შ. დ. ქიქნაძე, პ. ვ. მელნიკოვი, ზ. ა. პატარიძე, ვ. მ. სირაძე, ა. ნ. ჩურკინი, გ. ს. ძოწენიძე, თ. ი. მოსაშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი, ო. ე. ჩერქეზია და სხვა ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

ვ. ი. ლენინის ძეგლი, სადაც ჩამწკრივებულია თბილისის გარნიზონის მეომართა საპატიო ყარაული, გვირგვინებით შეამკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის შტაბისა და სამმართველოთა პირადი შემადგენლობის სახელით.

საქართველოს სსრ ხელმძღვანელებმა წუთიერი დუმილით სცეს პატივი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემქმნელის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის ხსოვნას.

მოედანზე საზეიმოდ და დიდებულად ჟღერს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები. (საქინფორმი).

## ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს

### სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია თბილისში

ორმოცდაათი წლის წინათ შეწყდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის გულის ძგერა, ადამიანისა, რომლის სახელი გახდა მთელი მსოფლიოს მშრომელთა ლამპარი და გზის მანათობელი ვარსკვლავი.

დრო ვერაფერს აკლებს ლენინის ნათელ სახეს. წლითიწლობით სულ უფრო დიდებულად წარმოგვიდგება თვალწინ ვლადიმერ ილიას-ძის — გენიალური მოაზროვნისა და უდრეკი რევოლუციონერის, კომუნისტური პარტიის დამაარსებლის, პირველ მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შემქმნელის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ცხოვრებისეული გმირობა.

ლენინიზმის იდეები თანამედროვეობის წამყვანი ძალა, მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის დროშა გახდა. ლენინი და პარტია გაერთიანებულია ჩვენს საქმეებსა და აზრებში. ამ დღეებში საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად უფრო მაღლა სწევენ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების დროშას, ცდილობენ თავიანთი თავდადებული, დამკვრელური შრომით ვადამდე შეასრულონ 1974 წლის საგეგმო დავალებანი და სოციალისტური ვალდებულებანი, ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წელი აღნიშნონ ახალი მიღწევებით სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 50 წლისთავს მიეძღვნა 21 იანვარს გამართული სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია, რომელიც მოიწვიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა — სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, რესპუბლიკის შემოქმედებითმა კავშირებმა და ორგანიზაციებმა.

პრეზიდიუმში იყვნენ ბ. გ. გიგიბერია, პ. გ. გილაშვილი, შ. დ. ქიქნაძე, ზ. ა. პატარიძე, ვ. მ. სირაძე, ა. ნ. ჩურკინი, გ. ს. ძოწენიძე, თ. ი. მოსაშვილი, შ. ვ. ყარყარაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, პარტიის ვეტერანები, თვალსაჩინო მეცნიერები, კულტურის მოღვაწენი, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ. დღეს, თქვა მან, დიდი ლენინის გარდაცვალების 50 წლისთავის დღეს, მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი, მთელი მსოფლიოს მშრომელები მისი ნათელი იდეალების გამარჯვებისათვის განსაკუთრებული სიამაყით, უსაზღვრო სიყვარულის, ღრმა მადლიერებისა და მადლობის გრძნობით კიდევ ერთხელ წარმოთქვამენ თავიანთი ბელადის, მასწავლებლისა და მეგობრის, გენიალური მოაზროვნისა და რევოლუციონერის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შემქმნელის ნათელ სახელს.

კაცობრიობის ისტორიაში ბევრია სახელოვანი სახელები, რომლებიც საუკუნეებს ეკუთვნის, მაგრამ ლენინის სახელი ყველაზე მაღლა დგას როგორც მზის სხივებით გაკაშკაშებული უმაღლესი მწვერვალი.

მთელი თავისი განუმეორებელი გენია, თავისი ნიჭის მთელი ძალა, თავისი გულის მთელი მგზნებარება შეალია მან ბრძოლას მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის, კაცობრიობის საზოგადოების სოციალური, ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ძირეული გარდაქმნისათვის ტიტანურ ბრძოლას, გამოიჩინა ჭეშმარიტად უკვდავი გმირობა.

ამხ. ვ. მ. სირაძემ ილაპარაკა ვ. ი. ლენინის უკვდავ გენიალურ თეორიულ მემკვიდრეობაზე, რომელმაც დაიცვა და განავითარა მარქსისა და ენგელსის მოძღვრება იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქის შესაბამისად.

ვ. ი. ლენინის უკვდავ სახელთან არის დაკავშირებული სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში საბჭოთა ხალხის ყველა წარმატება. ვლადიმერ ილიას-ძის უკვდავ სახელთან არის დაკავშირებული კომუნიზმის საერთაშორისო მასშტაბის მსოფლიო ისტორიული მონაპოვარნი, ბოლოდროინდელი დამაჯერებელი გამარჯვებანი, რომლებიც კაცობრიობის პროგრესულმა ძალებმა მოიპოვეს ბოროტების, ბნელეთის მოციქულობისა და ძალმომრეობის ძალებზე მშვიდობის, სოციალური პროგრესის, დემოკრატიისა და სოციალიზმის იდეების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

„ლენინის გონების დიდი ენერგია, ლენინის მგზნებარე გულის ცემა კვლავ ცოცხლობს პარტიის საქმეებში". სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ეს სიტყვები კიდევ ერთხელ ადასტურებენ უკვდავი ლენინური მოძღვრების უდიდეს მნიშვნელობას.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში არ არის დარგი, რომლის განვითარებაზეც გადამწყვეტი ზემოქმედება

(დასასრული მე-2 გვ.).

## საბჭოთა მთავრობის მოწვევით

21 იანვარს მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოწვევით ოფიციალურ მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ისმაილ ფაჰმი.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ი. ფაჰმისა და მის თანმხლებ პირებს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

## გავზრდით შრომის ნაყოფიერებას

მიმდინარე წელს ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკა 15 დასახელების მოდელს ხარისხის ნიშნით გამოუშვებს

კვლავინდებურად ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარების მძლავრი ბერკეტია მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება, მის საფუძველზე მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის გაძლიერება. ასეა ჩაწერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში 1974 წელს სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ.

ჩვენი ფაბრიკის მუშაობის შედეგების მიხედვით ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის საჭიროა მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის გაძლიერება, სოციალისტური შეჯიბრების უფრო გონივრულად მოწყობა, შრომის დისციპლინის განმტკიცება, თვითეულ უბანზე პასუხისმგებლობის ამაღლება. ხუთწლედის მესამე წელს სწორედ ამ საკითხებს ვაქცევდით ყურადღებას და შედეგიც უკეთესი მივიღეთ. საერთო პროდუქციის გამოშვების გასული წლის გეგმა 102,1 პროცენტით შევასრულეთ, რეალიზაციისა — 104 პროცენტით. გეგმის გადამეტებით 400 ათასი მანეთის პროდუქციის რეალიზაცია. მოვახდინეთ, დიდ ყურადღებას ვაქცევდით ასორტიმენტის გაფართოებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ამ მხრივაც გარკვეული წარმატება მოვიპოვეთ. 15 დასახელების მოდელს ხარისხის სახელმწიფო ნიშანი მიეკუთვნა. ეს უდავოდ კარგია, მაგრამ წუნით გამოწვეული ზარალი ჯერ კიდევ დიდია. ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს ამ მხრივ სერიოზული მუშაობის გაწევა დაგვჭირდება. გადაწყვეტილი გვაქვს განვახორციელოთ ხარისხის მართვის კომპლექსური სისტემა.

ღრმად განვიხილეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, ერთობლივი დადგენილება სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ. გადავხედეთ ადრე მიღებულ შემხვედრ გეგმას, მასში შევიტანეთ კორექტირება და გადავწყვიტეთ მიმდინარე წელს საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 20 დეკემბრისათვის შევასრულოთ და გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ 500 ათასი მანეთის პროდუქცია. ამას ძირითადად მივაღწევთ მოცდენების შემცირებით, შრომის ნაყოფიერების გადიდებით.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოვიწვიეთ რიგის სამკერვალო გაერთიანება „ლატვია". ცხადია, ასეთი მოწინავე საწარმოს შეჯიბრებაში გამოწვევა დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ამიტომ აქედანვე ფართოდ გავშალეთ შეჯიბრება საამქროებსა და ბრიგადებს შორის, მტკიცე კონტროლი დავაწესეთ ყოველდღიური გეგმის შესრულებაზე. საქმე ცუდად არ მიდის. იანვრის პირველი ნახევრის დავალება გადაჭარბებით შევასრულეთ. მუშაობის საუკეთესო მაგალითს იძლევიან ის სამკერვალო ბრიგადები, რომლებსაც მ. ნადირაშვილი, ზ. აბზიანიძე და ვ. ლეგაშვილი ხელმძღვანელობენ.

იერიშობანა ყველა საწარმოსათვის დამღუპველია. იგი განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს სამკერვალო საწარმოებზე. უარესდება ხარისხი. ამიტომ საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დახმარებით აქედანვე ენერგიულად ვიბრძვით, რომ ფაბრიკა მასალებით რიტმულად მოვამარაგოთ, არ დავუშვათ შეფერხებანი.

მ. ყიფიანი,
თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანი.

## გენიჩესკელთა დელეგაცია მახარაძეში

მახარაძე. (ტელეფონით საქ. კორ.). როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, რამდენიმე ათეული წელია, რაც მახარაძელი კოლმეურნეები ეჯიბრებიან უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის თანამოსაქმეებს. ყოველწლობით ხდება დელეგაციების გაცვლა, საქმიანი მიწერ-მოწერა, მეგობრული დახმარება, გამოცდილების გაზიარება.

17 იანვარს მახარაძეში ჩამოვიდა გენიჩესკელთა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ნიკოლოზ ბელეცკი (კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, დელეგაციის ხელმძღვანელი), ნიკოლოზ ხოლოდკო (ქარხნის მუშა), ლიდა შილიაკინა (მეცხოველეობის სანაშენო ქარხანა „სივაშის" ბრიგადირი).

დელეგაციის წევრები შეხვდნენ პარტიის მახარაძის რაიკომის პირველ მდივანს ე. მალაზონიას და ჰქონდათ მეგობრული საუბარი. ე. მალაზონიამ გააცნო მათ რაიონის მშრომელთა მიღწევები და ახალი ვალდებულებანი.

დელეგაციის ხელმძღვანელმა ნ. ბელეცკიმ განაცხადა: აქ, საქართველოში და, კერძოდ, მახარაძეში თავს ისე ვგრძნობთ, როგორც მშობლიურ გენიჩესკში. ჩვენს მეგობრებთან სოციალისტური შეჯიბრება დიდად შეგვიწყობს ხელს ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს.

უკრაინელმა სტუმრებმა 19 იანვარს მონაწილეობა მიიღეს რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მუშაობაში, შეაჯამეს გასული წლის შედეგები და გააფორმეს სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება 1974 წლისათვის.

ამბები ● ფაქტები ● პრობლემები

# მსოფლიო დღეს

საქდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

## ხალხის პატივისცემა და სიყვარული



### კუბა ემზადება ვიზიტისათვის

ჰავანა, 21 იანვარი. (საქდესის კორ.). სკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მომავალ ვიზიტს კუბაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო კუბისათვის, არამედ ლათინური ამერიკის ყველა ხალხისათვის. საპატიო საბჭოთა სტუმრის ვიზიტი ჩაივლის მთელი კუბელი ხალხის დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, როცა კუბის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მიღწეულია ხელშესახები წარმატებები, რომლებიც გვახარებს და მომავლის კიდევ უფრო დიდ რწმენას გვინერგავს, განაცხადა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ფლავიო ბრავომ.

ჩვენ მოხარული ვართ, თქვა მან, რომ ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი საკუთარი თვალით ნახავს ჩვენი ხალხის შრომით ენთუზიაზმს, რომელიც დაუცხრომლად იღვწის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, შრომის ნაყოფიერების გაზრდისათვის, თვითეულ სამუშაო ადგილზე შრომის უფრო მაღალი ეფექტიანობისათვის.

შეეხო რა კუბის სახალხო მეურნეობის მიღწევებს, ფლავიო ბრავომ აღნიშნა კერძოდ, რომ მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოებმა შარშან ხუთი პროცენტის გადამეტებით შეასრულეს გეგმები. ეს ნიშნავს, რომ 1972 წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება მსუბუქი მრეწველობის სისტემაში გაიზარდა თორმეტი პროცენტით, ხოლო კვების მრეწველობის სისტემაში ცხრა პროცენტით.

სახალხო მეურნეობის ბევრ სხვა დარგშიც მიღწეულია უმაგალითო შედეგები, განაგრძო ფ. ბრავომ. გარკვეული წარმატებებია მიღწეული აგრეთვე სურსათით და სახალხო მოხმარების საქონლით მოსახლეობის მომარაგებაში. ჩვენ ვიბრძვით აგრეთვე იმისათვის, რომ ავამაღლოთ პროდუქციის ხარისხი, გავაუმჯობესოთ მუშაობა მომსახურების სფეროში. და ყოველივე ეს ჩვენი ხალხის დიდ კმაყოფილებას იწვევს.

მთელი ჩვენი ხალხი, თქვა დასასრულ ფ. ბრავომ, მოუთმენლად მოელის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს, რათა უშუალოდ გამოხატოს მის წინაშე თავისი სიყვარული, მეგობრობისა და მადლიერების გრძნობა ძმური, უანგარო და ნამდვილი ინტერნაციონალისტური დახმარებისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი, აგრეთვე სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები გვიწევენ.

პოლიტიკური ვითარება კუბაში ჯერ არასოდეს არ ყოფილა ისეთი ბრწყინვალე. არასოდეს არ ყოფილა ისეთი მაღალი ჩვენი ხალხის რევოლუციური შეგნება, არასოდეს არ ყოფილა ისეთი მტკიცე მისი ერთიანობა და შეკავშირება ფიდელ კასტროს გარშემო, კუბის კომუნისტური პარტიის გარშემო. ყოველივე ამას ნახავს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი კუბაში ყოფნის დროს. იგი იგრძნობს, რაოდენ დიდია ყველა კუბელის პატივისცემა და სიყვარული იმის მიმართ, როგორც დიადი მოძმე ქვეყნის — სოციალიზმის სამშობლოს ხელმძღვანელისა და წარმომადგენლის მიმართ.

## თვითნებობა და ტერორი ჩილე

ბერლინი, 21 იანვარი. (საქდესი). ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ ჩილედან მიიღო წერილი, რომელიც გულისწყრომით ამხილებს სამხედრო ხუნტის დანაშაულებს ჩილელი ხალხის წინააღმდეგ.

ჩილე, ნათქვამია წერილში, დღეს გადაიქცა უზარმაზარ საპყრობილედ. ათასობით პატიმარი საშინელ პირობებში ჰყავთ ქვეყნის ცალკეულ რაიონებში, ისინი მოკლებულნი არიან სამედიცინო მომსახურებას, ულმობლად აწამებენ. ჩილელ პატრიოტებს, მათ შორის ქალებს, კვლავ საშინლად აწამებენ, მათ წინააღმდეგ იყენებენ ელექტროდენს, ძაღლებს.

ჩილეში თვითნებობისა და ტერორის მსხვერპლი გახდნენ კულტურისა და მეცნიერების ცნობილი მოღვაწენი. მძიმედ დაავადებულ პაბლო ნერუდას უარი უთხრეს წამალზე, რამაც დააჩქარა მსოფლიოში ცნობილი ჩილელი პოეტის სიკვდილი. მისი სახლი გაძარცვეს და გაანადგურეს სამხედრო ხუნტის დამქაშებმა.

მთელ ქვეყანაში მიმდინარეობს სამხედრო-საველე სასამართლოები და მასობრივი დახვრეტა შეთითხნილ ბრალდებათა საფუძველზე.

პოლიტიკურ პარტიათა დათხოვნის შესახებ დეკრეტით სამხედრო ხუნტამ აკრძალა სულ სხვადასხვა ორგანიზაციების საქმიანობა. ახალგაზრდობის წარმომადგენლები, ამ ორგანიზაციათა ან პოლიტიკურ პარტიათა წევრები გარიცხული არიან უნივერსიტეტებიდან და ქვეყნის სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან.

წერილი შეიცავს მოწოდებას, რომ განამტკიცონ საერთაშორისო სოლიდარობა, იბრძოლონ, რათა ბოლო მოეღოს ფაშისტთა საზიზღარ ბოროტმოქმედებას ჩილეში.

## მწვავე კრიზისის ვითარებაში

ვაშინგტონი, 21 იანვარი. (საქდესის კორ.). მერყეობისა და ქვეყნის წინაშე დასმული პრობლემების შემდგომი გამწვავების ვითარებაში საშობაო არდადეგების შემდეგ მუშაობას ანახლებს ამერიკის შეერთებული შტატების 93-ე მოწვევის კონგრესი.

სესია იწყება იმ მომენტში, როცა ამერიკის ეკონომიკა, როგორც პრესა აღიარებს, მიუახლოვდა დაქვეითების ზღვარს. გასული წლის უკანასკნელ კვარტალში გაიზარდა უმუშევრობა, მკვეთრად შენელდა ეკონომიური ზრდის ტემპი, კვლავ მძვინვარებს ინფლაცია, როგორც განაცხადა სენატორმა აიდაჰოს შტატისაგან ფ. ჩერჩმა, ამ შტატის მცხოვრებლებს ინფლაცია მიაჩნიათ „ყველაზე ცუდ პრობლემად“, რომელიც განსაკუთრებით მტკივნეულად ეხება ხელმოკლე და ხნიერ ამერიკელთა ჯიბეს.

კონგრესმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს კანონმდებლობას გამწვავებულ ენერგეტიკულ კრიზისთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ, რომელიც ძლიერ გავლენას ახდენს ეკონომიკის მდგომარეობაზე და დიდად აწუხებს ამერიკელებს. ბევრი მეთვალყურე აღიარებს, რომ დადგა დრო ალაგმონ ნავთობის მონოპოლიები, რომლებიც ზემოგებათა მისაღებად საწვავის ხელოვნურ ნაკლებობას ქმნიან და ამით ამწვავებენ კრიზისს. მაგრამ ამ კორპორაციების ძლიერება, მათი გავლენა ამერიკის პოლიტიკაზე იმდენად დიდია, რომ ამ საკითხის განხილვა კონგრესში, ჟურნალ „ბიზნეს უიკის“ აზრით, უფრო მონოპოლიებისათვის ხელსაყრელი „კომპრომისის“ შემუშავებით დამთავრდება.

კონგრესის დღის წესრიგში ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია სენატის კომისიებში, ხოლო შემდეგ თვით სენატში მთავრობის კანონპროექტის განხილვას სავაჭრო რეფორმის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს, კერძოდ, საბჭოთა კავშირისათვის კრედიტების მიცემასა და ვაჭრობაში უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის მინიჭებას. ამ კანონპროექტს მხარს უჭერენ საქმიანი წრეების წარმომადგენლები და საზოგადოებრიობის ფართო ფენები, მაგრამ წარმომადგენელთა პალატამ არდადეგებამდე ცოტა ხნით ადრე მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც გზას უხშობს მთავრობის ღონისძიებებს სსრ კავშირთან ვაჭრობის ნორმალიზაციის შესახებ. სენატში ამ საკითხზე მოსალოდნელია მწვავე ბრძოლა. როგორც გაზეთი „უოლსტრიტ ჯორნელი“ აღნიშნავს, შეერთებულმა შტატებმა „არ უნდა იკისროს ინიციატივა დაძაბულობის შენელების პროცესის ტორპედირებაში“.

ტრადიციისამებრ კონგრესი იანვარში მუშაობას იწყებს „ქვეყნის მდგომარეობის შესახებ“ და შემდგომი საფინანსო წლის ბიუჯეტის შესახებ პრეზიდენტის წერილების განხილვით. პრესა წინასწარმეტყველებს, რომ გარკვეული წრეები მოითხოვენ სამხედრო მიზნებისათვის განკუთვნილ ასიგნებათა შემდგომ გადიდებას რეკორდულად მაღალ თანხამდე — 87 მილიარდ დოლარამდე.

სესიის მუშაობაზე უდავოდ მოახდენს გავლენას მოახლოებული არჩევნები — მიმდინარე წლის ნოემბერში უნდა გადაირჩიონ სენატის წევრთა მესამედი და წარმომადგენელთა პალატის მთელი შემადგენლობა. კონგრესის ბევრი მოღვაწე უკვე აქტიურად ჩაება ბრძოლაში თავისი ადგილის შენარჩუნებისათვის კაპიტოლიუმში.

## საბჭოთა ხელოვნება აფრიკაში

მონროვია, (საქდესი). ლიბერიის დედაქალაქში დაიწყო საბჭოთა მსახიობების ჯგუფის გასტროლები. საბჭოთა მსახიობები ტურნეს მართავენ დასავლეთ აფრიკის ქვეყნებში. ლიბერიელი მაყურებლები აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა ხელოვნების წარმომადგენლებს პირველ კონცერტზე, რომელსაც დაესწრო ქვეყნის პრეზიდენტი უილიამ ტოლბერტი.

კონაკრი. (საქდესი). გვინეაში საბჭოთა მსახიობების გამოსვლები „ახალი ეტაპია საბჭოთა კავშირ-გვინეის ურთიერთობაში“, წერს გვინეის დემოკრატიული პარტიის ორგანო გაზეთი „ჰოროია“. გაზეთი ხაზს უსვამს საბჭოთა მსახიობების მაღალ პროფესიულ დონეს და „შესანიშნავ ოსტატობას“, და ამასთან აღნიშნავს რომ ხელოვნებამ ასეთ აყვავებას შეიძლება მიაღწიოს მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში.

სტატიაში დიდად არის შეფასებული ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ დამსახურებული არტისტის ნატალია გასტაშევას, აგრეთვე ბელორუსიის სსრ დამსახურებული არტისტის ვიქტორ ვუიაჩიჩის გამოსვლები.

ნაირობი, (საქდესი). უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს საბჭოთა მუსიკოსების — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის, მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის იგორ პოლიტკოვსკის, პიანისტების ალექსი ჩერკასოვისა და ევგენი ეპშტეინის გამოსვლები. კენიის ეროვნულ თეატრში გაიმართა საბჭოთა მუსიკოსების მეორე კონცერტი. „ამ დღეებში საბჭოთა მსახიობების გამოსვლების შთაბეჭდილებით ვცხოვრობთ — განაცხადა საქდესის კორესპონდენტთან საუბარში კენიის კონსერვატორიის დირექტორმა კოფსკიმ.

— იგორ პოლიტკოვსკი — ერთ-ერთი საუკეთესო მევიოლინეა მათ შორის, ვინც კი ოდესმე გამოსულა ჩვენში. მან დიდად შეაფასა აგრეთვე საბჭოთა პიანისტების „შესანიშნავი ოსტატობა“.

## მშრომელთა ბრძოლის ავანგარდში ავსტრია

### მუშაობა დაამთავრა ავსტრიის კომპარტიის XXII ყრილობამ

ვენა, 21 იანვარი. (საქდესი). მუშაობა დაამთავრა ავსტრიის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ. დელეგატებმა განიხილეს ავსტრიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება, ერთმანეთს გაუზიარეს საწარმოებსა და პირველად პარტიულ ორგანიზაციებში მუშაობის გამოცდილება.

ორატორებმა, რომლებიც ავსტრიის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად თვლიან მონოპოლისტური კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის მუშათა კლასის ინტერესების დასაცავად, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ აუცილებელია იბრძოლონ სიძვირის, ინფლაციის, გადასახადების სიმძიმის ზრდის წინააღმდეგ, მშრომელთა ხელფასის გადიდებისათვის.

ავსტრიელ კომუნისტებს თავიანთ მნიშვნელოვან ამოცანად მიაჩნიათ ეროვნული ეკონომიკის დაცვა უცხოეთის კაპიტალის შემოჭრისაგან.

ყრილობის დელეგატებმა და სტუმრებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმეს მშრომელთა კლასობრივი სოლიდარობის, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის რიგების შეკავშირების საკითხებს, საერთაშორისო პრობლემებს. ორატორებმა აღნიშნეს ის უდიდესი როლი, რომელსაც ასრულებენ საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები მშვიდობის შენარჩუნების, უშიშროების მიღწევის, განიარაღების, ხალხთა თავისუფლების საქმეში.

გაიმართა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. მიიღეს „მოქმედების პროგრამა“ და მთელი რიგი სხვა დოკუმენტები.

## ჩრდილოეთ ირლანდია

## დემონსტრაცია ბელფასტში

ლონდონი, 21 იანვარი. (საქდესი). 600-ზე მეტი კაცი მონაწილეობდა ინტერნირების წინააღმდეგ საპროტესტო დემონსტრაციაში, რომელიც ბელფასტში გაიმართა.

მარშის მონაწილენი გამოვიდნენ ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქის ქუჩებში, რათა ინგლისის ხელისუფლებისათვის მოეთხოვათ, რომ შეწყვიტონ რეპრესიები სამოქალაქო უფლებათა მებრძოლებისადმი და გაათავისუფლონ ყველა პოლიტიკური პატიმარი. ინგლისელი ჯარისკაცები შეეცადნენ დემონსტრანტები ქალაქის ცენტრისაკენ არ გაეშვათ.

ბელფასტის ცენტრალური სასტუმროს ახლოს ბომბის აფეთქების შედეგად რამდენიმე კაცი დაიჭრა.

## ტელეტაიპის ლენტიდან

### ახალი საფინანსო ბრძოლები

● ტოკიო, (საქდესი). ვალუტის გაცვლის ყველა ოპერაციის შეწყვეტით უპასუხა იაპონიამ დღეს ტოკიოს სავალუტო ბაზარზე საფრანგეთის მიერ ფრანკის თავისუფლად მცურავი კურსის შემოღებას.

უკანასკნელად ასეთ უკიდურეს ზომას ტოკიოში მიმართეს შარშან მარტში, როცა ევროპას ფინანსური კრიზისი მოედო.

იაპონიის ფინანსურ წრეებში წინასწარმეტყველებენ ძირითად კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის სავაჭრო და ფინანსური ბრძოლის ახალ გამწვავებას.

### ვ. ბრანდტის გამოსვლა

● ბონი, (საქდესი). მოლაპარაკება სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური და ეკონომიური თანამშრომლობის შერეული კომისიის სესიის მსვლელობაში „საკმაოდ კარგად მიმდინარეობდა“, განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ვ. ბრანდტმა დასავლეთგერმანული ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში. ვ. ბრანდტმა გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირ-დასავლეთ გერმანიის ეკონომიურ ურთიერთობაში მიღწეულ იქნება შემდგომი პროგრესი.

### ფეხით დედამიწის გარშემო

● სტოკჰოლმი, (საქდესი). სამხრეთ შვეციის მცხოვრებს მელბერგის ოჯახი ფეხით გაემგზავრა დედამიწის გარშემო სამოგზაუროდ. 57 წლის მასწავლებელი ჰუნარი, 46 წლის მასწავლებელი ჰუნი და მათი 21 წლის ვაჟი კიმი ფიქრობენ, რომ 70 ათას კილომეტრ მარშრუტს გაივლიან ათ წელიწადში.

საჭირო ბარგი თვითონვე მიაქვთ სამი ველოსიპედისთვლიანი ურიკით. ისინი კარგ სპორტულ ფორმაში არიან. მათ სადღეისოდ უკვე იმოგზაურეს ფეხით იტალიაში. მელბერგები ვარაუდობენ მოგზაურობის ხარჯები დაფარონ შინ დაბრუნების შემდეგ: აპირებენ გამოსცენ წიგნები და აჩვენონ ფილმები თავიანთი მოგზაურობის შესახებ.

### ეგვიპტის მოსახლეობა

● კაირო, (საქდესი). ეგვიპტის მოსახლეობა 1973 წლის დამლევს შეადგენდა 36 მილიონს, აქედან 18.175.500 მამაკაცია და 17.824.500 — ქალი.

როგორც ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის მობილიზაციისა და სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს წარმომადგენელმა განაცხადა, მოსახლეობის ყოველწლიური მატება ქვეყანაში დაახლოებით 787 ათასს შეადგენს.

## იაპონია



გემთსაშენებლო კომპანიამ „მიცუიმ“ წყალში ჩაუშვა 150.000 ტონა წყალწყვის მცურავი დოკი. ეს მსოფლიოში ამ ხახის ერთ-ერთი უდიდესი ნაგებობაა. მისი სიგრძეა 282,2 მეტრი, სიგანე — 47 მეტრი და სიმაღლე — 23 მეტრი. მცურავ დოკს შეუძლია შესაკეთებლად მიიღოს 80 ათასი ტონა წყალწყვის ხომალდები.

სურათზე: გიგანტურმა მცურავმა დოკმა მიიღო პირველი ხომალდი კაპიტალური შეკეთებისათვის.

ჯაპან-პრეს — საქდესის ფოტო.

## ნორვეგია

## ტერორისტების გასამართლება

ოსლო, 21 იანვარი. (საქდესი). ნორვეგიის დედაქალაქში მთავრდება სასამართლო პროცესი სიონისტური ტერორისტული ჯგუფის წევრებისა, რომელმაც შარშან ზაფხულში მოკლა მაროკოელი აჰმედ ბუშიკი ნორვეგიის ქალაქ ლილეჰამერში. სასამართლოს წარუდგა ამ ჯგუფის ექვსი წევრი, რომლებსაც ბრალად ედებათ აგრეთვე ჯაშუშობა ისრაელის სასარგებლოდ.

განაჩენის გამოტანას მოელიან იანვრის დამლევს.

აღნიშნა რა საბრალდებო სიტყვაში, რომ ბუშიკის მოკვლა განიზრახეს და განახორციელეს ისრაელის დაზვერვასთან დაკავშირებულმა პირებმა თელ-ავივიდან მიღებული ბრძანებით, ნორვეგიის გენერალურმა პროკურორმა ჰ. ვიგერმა მოითხოვა ყველა ბრალდებულს მიუსაჯონ პატიმრობა 6,5-დან 9 წლამდე ვადით, რაც შედარებით ლმობიერი სასჯელია ამგვარი დანაშაულისათვის ნორვეგიაში.

## ა. სადათი მოგზაურობს

კაირო, 21 იანვარი. (საქდესი). ეგვიპტის პრეზიდენტი ა. სადათი, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობს, დღეს კატარში ჩავიდა. როგორც მენის სააგენტო იუწყება, დედაქალაქის აეროპორტში მას დახვდა კატარის ემირი ხალიფა ბენ ჰამად ალ-ტანი. თავისი მოგზაურობის დროს ა. სადათი უკვე ეწვია ხანმოკლე ვიზიტად სირიას, საუდის არაბეთს, კუვეიტსა და ბაჰრეინს.

## შეიარაღებული შეტაკებანი

პეკინი, 21 იანვარი. (საქდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ ამ ბოლო დღეებში შეტაკებები მოხდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებსა და სამხრეთ ვიეტნამის ჯარებს შორის სიშის (პარასელის) კუნძულების რაიონში. ეს კუნძულები მდებარეობენ სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში, ჰაინანის კუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

15 იანვრიდან, ნათქვამია ცნობაში, საიგონის ხელისუფალთა სამხედრო ხომალდები და თვითმფრინავები „იჭრებიან ჩვენი ქვეყნის კუთვნილი სიშის კუნძულების ტერიტორიულ წყლებსა და საჰაერო სივრცეში, ძალით იკავებენ ჩვენს კუნძულებს, ცეცხლს უშენენ ჩვენს მებადურებსა და სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებს, რომლებიც საპატრულო სამსახურს ეწევიან“.

ნიუ-იორკი, 20 იანვარი. (საქდესი). ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ სამხრეთ ვიეტნამის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებმა სცადეს დესანტის გადასხმა პარასელიკის არქიპელაგის ერთ-ერთ კუნძულზე, მაგრამ ჩინელებმა ისინი უკუაქციეს. იუწყებიან, აგრეთვე, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თვითმფრინავებმა დაბომბეს საიგონის ჯარების ქვეგანაყოფები ამ კუნძულებზე, ხოლო სამხედრო ხომალდებმა გადასხეს დესანტი. საზღვაო ბრძოლაში სამხრეთ ვიეტნამის ერთი ხომალდი ჩაძირეს, ხოლო სამი სხვა — დააზიანეს. ჩინეთის მხარემ, იმავე ცნობების თანახმად, დაკარგა ერთი ხომალდი.

## ყველა კონტინენტიდან

### მოკლე ცნობები

პრაღა. პირველი საცდელი რეისი ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში განახორციელა „იაკ-40“ რეაქტიულმა სამგზავრო თვითმფრინავმა, რომელიც სსრ კავშირში შეისყიდა „ჩეხოსლოვაკიის აეროხაზების“ სავიაციო კომპანიამ.

ლონდონი. ძლიერი გრიგალი დღე-ღამეზე მეტ ხანს მძვინვარებდა ბრიტანეთის კუნძულებზე. ქარის სიჩქარე აღწევდა 160 კილომეტრს საათში. ლა-მანშში ჩაიძირა დანიის გემი. ეკიპაჟის შვიდი წევრი გადაარჩინეს ვერტმფრინავების საშუალებით. კიდევ ოთხი კაცი ზღვიდან ამოიყვანა საბჭოთა ტრალერმა „ლენინგრადმა“.

რომი. იტალიის საავტომობილო ფირმის „ლანჩას“ ადმინისტრაციამ, რომელიც კონცერნ „ფიატში“ შედის, ორი დღით შეამცირა სამუშაო კვირა. 6 ათასი მუშის ხელფასი შესაბამისად შეიკვეცება.

ამ გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებენ, რომ ფირმის საწყობებში არის გაუყიდავი ავტომობილების დიდი პარტია. მოთხოვნა მათზე მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც იტალიაში, ისე საზღვარგარეთ.

კოლომბო. შრი ლანკის რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა სახელმწიფოს კონტროლს დაუქვემდებაროს კიდევ სამი ათასი აკრი მიწა, რომელსაც გაანაწილებენ მცირემიწიან გლეხებს შორის.

სინგაპური. 25 პროცენტით გაძვირდა ფქვილი სინგაპურში. ამან დაუყოვნებლივ მოახდინა გავლენა პურფუნთუშეულის ფასებზე.

მონტევიდეო. 77,51 პროცენტით გაიზარდა ცხოვრების ღირებულება გასულ წელს ურუგვაიში.

ბუენოს აირესი. არგენტინაში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა პანამის რესპუბლიკის მთავრობის მეთაური გენერალი ომარ ტორიხოსი. მიესალმა რა პანამის ხელმძღვანელს, არგენტინის ვიცე-პრეზიდენტმა მარია ესტელა დე პერონმა აეროპორტში განაცხადა, რომ ეს ვიზიტი ხელს შეუწყობს ლათინური ამერიკის ქვეყნების ერთიანობის განმტკიცების საქმეს.

ნიუ-იორკი. გაფიცვა დაიწყო დეტროიტის სავაჭრო ქსელის სატვირთო მანქანების 2,5 ათასმა მძღოლმა და საწყობის მუშებმა. ისინი მოითხოვენ ხელფასის მომატებას.

კაირო. ფოსფატების დიდი საბადო აღმოაჩინეს ეგვიპტელმა გეოლოგებმა აბუ-ტარტურში (ზემო ეგვიპტე). წინასწარი შეფასებით, ფოსფატების მარაგი აქ 1 მილიარდ ტონას აღწევს.

ბამაკო. საბჭოთა კავშირის დახმარება ხანგრძლივი გვალვისაგან დაზარალებული მალის მოსახლეობისადმი კიდევ ერთხელ ადასტურებს საბჭოთა ხალხის სოლიდარობასა და გულწრფელ მეგობრობას ჩვენი ქვეყნის ხალხისადმი. ეს განაცხადა მალის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის გენერალურმა მდივანმა უმარ კონემ, რომელმაც მიიღო სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის საჩუქარი — ოთხნახევარი ტონა მედიკამენტი.

ალჟირი. შეიქმნა ალჟირის მწერალთა კავშირი. გადაწყვეტილება ამის შესახებ მიიღეს ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მწერალთა გენერალურ ასამბლეაზე, რომელიც აქ დამთავრდა.

ახალი შემოქმედებითი კავშირის შექმნა, წერს გაზეთი „ელ მუჯაჰიდი“, დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ალჟირის კულტურულ ცხოვრებაში.

(საქდესი).

## კაპიტალის ქვეყნებში

## ფასების შეუჩერებელი ზრდა

კაპიტალისტურ სამყაროში კვლავ იზრდება ფასები. ამაოა მთავრობების ყველა ღონისძიება — როგორმე შეაჩერონ ეს პროცესი.

ფასების ზრდამ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში შარშან შეადგინა 6,9 პროცენტი, რაც რეკორდი იყო მრავალი წლის მანძილზე. სამრეწველო ფასები დეკემბერში 8,5 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე 1972 წლის დეკემბერში.

ავსტრიაში 1973 წელს ფასებმა აიწია 7,6 პროცენტით, ხოლო დანიაში ფასები ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში 26 პროცენტით გაიზარდა.

დასავლეთ ბერლინში ფასების ზრდამ გასულ წელს შეადგინა საშუალოდ 6,9 პროცენტი, ვენესუელაში — 10 პროცენტი და სხვ.

ასეთივე პროცესი აღინიშნება ახალ წელს.

ამ კვირაში ინგლისში რეგისტრირებულია 518 სახეობის კვების სხვადასხვა პროდუქტების ფასების აწევა — ეს რეკორდია მრავალი კვირის განმავლობაში. ხოლო კი მიმდინარე წლის დამდეგიდან უკვე გაძვირდა 1.150-ზე მეტი სახეობის სასურსათო და სამეურნეო საქონელი.

რომიდან იუწყებიან კვების ისეთი პროდუქტების გაძვირების შესახებ, როგორიცაა პური, მაკარონის ნაწარმი და რძე. დუბლინიდან მოვიდა ცნობა, რომ 17 იანვრიდან ირლანდიაში აიწია კარაქის, პურის, ფქვილის, შაქრის, ბავშვთა საკვები პროდუქტების ფასებმა.

პრესის აზრით და ეკონომისტთა პროგნოზების მიხედვით, უახლოეს რამდენიმე კვირასა და თვეებში კაპიტალისტურ ქვეყნებში გაგრძელდება სიძვირის საერთო ზრდა. (საქდესი).

## საყოველთაო ზიზღი

### გამოხმაურება „პრავდაში“ დაბეჭდილ სტატიაზე

საზღვარგარეთის ქვეყნების პრესა კვლავ აქვეყნებს კომენტარებს გაზეთ „პრავდაში“ დაბეჭდილი სტატიის „ღალატის გზის“ გამო. პროგრესული პრესა, საზღვარგარეთის ბევრი საზოგადო მოღვაწე, ინტელიგენციის წარმომადგენლები გადაჭრით გმობენ „ცივი ომის“ მომხრეთა ცდებს, რომ სოლჟენიცინის მორიგი პასკვილი გამოიყენონ მშვიდობის საქმისადმი მტრობის გაღვივებისათვის.

„რეაქციული პრესის პროპაგანდისტული აქცია სოლჟენიცინის გარშემო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის წინააღმდეგ გაშლილი კამპანიის შემადგენელი ნაწილია, — წერს გაზეთ „ვუა უვრიერში“ შვეიცარიის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი ჟან ვენსანი. — ანტისაბჭოური კამპანიის ბურჟუაზიულ იდეოლოგებს სურთ დააბრუნონ „ცივი ომის“ დრო, თავიანთი ქვეყნების ყურადღება ჩამოაშორონ იმ მძაფრ კრიზისს, რომელიც ძირს უთხრის კაპიტალისტურ საზოგადოებას და რომლის შედეგები მძიმე ტვირთად აწვება მშრომელებისა და ინტელიგენციის ფართო ფენებს“.

იუგოსლავიის გაზეთი „ვეჩერნი ლისტი“ წერს, რომ სოლჟენიცინისა და იმათთვის, ვინც მხარში თუ ზურგს უკან უდგას, ეგრეთ წოდებული „ბანკები“ მხოლოდ საბაბია, მხოლოდ მეთოდია, მხოლოდ წინასწარი განზრახვით არჩეული გზაა, რომ მიაღწიონ თავიანთ მიზანს. მათი დახმარებით სოლჟენიცინს სურს სახელი გაუტეხოს სოციალიზმს, როგორც სისტემას და იდეას. მაგრამ სწორედ ამიტომ მან საბოლოოდ და სამუდამოდ გაიტეხა სახელი და გამოაშკარავა საკუთარი ვინაობა. ახლა სოლჟენიცინი ალარავის ალარ სჭირდება უარყოფითი თვალსაზრისითაც კი, მნიშვნელობა აქვს მხოლოდ იმას, რაც სხვებმა შექმნეს მისგან მას შემდეგ, რაც სისტემის კრიტიკოსად გადაიქცა. ყოველ შემთხვევაში, სოლჟენიცინი მათ იმისთვის სჭირდებათ, რომ ჩირქი მოსცხონ ოქტომბრის რევოლუციასა და სოციალიზმს, სადაც უნდა იყოს იგი...

ფრანგ კომუნისტთა ორგანო „ლუმანიტე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოლჟენიცინი ამაოდ ცდილობს დაამტკიცოს, თითქოს კანონიერების დარღვევანი სოციალისტური საზოგადოების ნორმებისაგან გადახვევა კი არ იყო, არამედ თვით სოციალიზმის ბუნებიდან გამომდინარეობდა. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, აღნიშნავს „ლუმანიტე“, საჯაროდ და უკომპრომისოდ გააკრიტიკა პიროვნების კულტთან დაკავშირებული სოციალისტური კანონიერების დარღვევანი, მთლიანად აღადგინა ცხოვრების ლენინური პრინციპები და ნორმები პარტიასა და საზოგადოებაში.

სოლჟენიცინის „ნაწარმოებები“, განაცხადა სამხრეთ აფრიკის გამოჩენილმა მწერალმა ალექს ლა გუმამ, ცხადყოფენ, რომ იგი პირწავარდნილი ანტისაბჭოელია, რომელსაც განზრახ არ სურს დაინახოს თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის დღევანდელი რეალური ცხოვრება, და ანტისაბჭოურობის მრუდე სარკეში ასახავს მას. „არც ერთი პატიოსანი კაცი, რომელიც საბჭოთა კავშირში ყოფილა, აღნიშნავს ლა გუმა, არ დაიჯერებს იმის მტკიცებას, თითქოს ჩაგვრის ატმოსფერო ეგრძნოს ამ ქვეყანაში, რომელიც კომუნიზმს აშენებს. „შემთხვევითი როდია, რომ ახლა, როცა რასისტულ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აკრძალულია ყველა პროგრესული მწერლის ნაწარმოებები, ა. სოლჟენიცინი გახდა ერთადერთი მწერალი სსრ კავშირიდან, რომელმაც ადვილად გაიარა რასისტული და ანტიკომუნისტური ცენზურა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში“.

კამპანია, რომელიც დასავლეთში გააჩაღეს „გულაგის არქიპელაგის“ გარშემო, სამართლიანად აღნიშნავს „რუდე პრავო“, თავისებური სარკეა, რომელშიც აისახა ძალების განლაგება ანტიკომუნისტურ ფრონტზე. ამ შემთხვევაში ერთ პლატფორმაზე გაერთიანდა საბჭოთა კავშირის ყველა მტერი, სოციალიზმის ყველა მტერი. აქ შეიკრიბა ჭრელი საზოგადოება — კაპიტალისტური სამყაროს უაღრესად მემარჯვენე ძალებიდან მაოისტებამდე, რადგან პეკინშიც გადაწყვიტეს ბარაქაში გარეულიყვნენ და ხელი მოეთბოთ ამ ამბავზე. ამასთან იგულისხმება სინხუას სააგენტოს ერთ-ერთი სტატია, რომლის გამო დასავლეთ გერმანიის გაზეთმა „ფრანკფურტერ ალგემაინემ“ განაცხადა: „იმ დროს, როცა სოლჟენიცინის წიგნს იყენებენ იმისათვის, რომ როგორმე შეაშფოთონ საზოგადოებრივი აზრი, პეკინი მიზანშეწონილად მიიჩნია იმავე ყაიდაზე ამღერება“.

რიგითი ამერიკელები წერილებს გზავნიან, ტელეფონით რეკავენ საქდესის ნიუ-იორკის განყოფილებაში, რათა განაცხადონ, რომ იწონებენ სოლჟენიცინის საჯარო მხილებას. აი ერთ-ერთი მაგალითი: ნიუ-იორკის მცხოვრებმა, 50 წლის ექიმმა ენტონი დე სანტოლომ განაცხადა: „მინდა გითხრათ, რომ მხარს ვუჭერ „პრავდის“ სტატიას. გაზეთი სავსებით მართალია, როცა როგორც მოქალაქეს, გმობს ადამიანს, რომელიც თავისი სამშობლოს მტრების სასარგებლოდ მოქმედებს. სოლჟენიცინი მთლიანად ჩამოშორდა თავის ხალხს და დაივიწყა, როგორი შრომით აღწევს ხალხი ყველა იმ სიკეთეს, რომლითაც თვითონაც სარგებლობს. ეს კაცი ფიზიკურად უნდა ამუშაონ, თორემ თავისი საზღვარგარეთული ჰონორარების გამო მას ალბათ დაავიწყდა პურის ფასი“.

„დასაბუთებული და დამაჯერებელია „პრავდის“ სტატია, რომელიც ამხილებს სოლჟენიცინის პასკვილების, განსაკუთრებით მისი უკანასკნელი წიგნის „გულაგის არქიპელაგის“ პროვოკაციულ არსს, — აღნიშნავს ინდოეთის გაზეთი „პეტრიოტი“. „პრავდის“ სტატია, — წერს გაზეთი, — სამართლიანად აღნიშნავს, რომ სოლჟენიცინმა დაკარგა ისტორიული პერსპექტივის გრძნობა და საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა ხელისუფლების უბოროტესი მტრების პოზიციებს დაადგა“.

„მაგრამ გარეწრის ლვარძლიანი ცილისწამება ამაოდ ისმის ეთერში, ამაოდ იჭაჭებიან დასავლეთის რადიოსადგურები, როცა ქებათა-ქებას ასხამენ სოლჟენიცინის „ნაწარმოებებს“, — წერს სტატიაში „ცილისწამების არქიპელაგი“ — გამოჩენილი ბულგარელი მწერალი ს. კარასლავოვი. — ნუთუ ნორმალურ, პატიოსან ადამიანს შეუძლია სერიოზულად იფიქროს, რომ სსრ კავშირში არ არსებობს თავისუფლება, რომ ოქტომბრის საქმე ისტორიის შეცდომა იყო? რა უმადური კაცი უნდა იყოს, რა ბინძური სული უნდა ჰქონდეს, რომ სარგებლობდეს შენი ხალხის ყველა სიკეთით, ჭამდეს მისი შრომით მოწეულ პურს და ცილს სწამებდეს ამ ხალხს, სახალხო ხელისუფლებას?“. (საქდესი).

## დასრულდა იუგოსლავიის გამოფენა

ათიათასზე მეტმა კაცმა დაათვალიერა თბილისში იუგოსლავიის გამოფენა, რომელიც მიეძღვნა სოციალისტური იუგოსლავიის 30 წლისთავს. რესპუბლიკის დედაქალაქის გარდა, სადაც გამოფენის მუშაობა ათ დღეს გაგრძელდა, იგი უჩვენეს მოსკოვსა და ლენინგრადში.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ოთხასამდე ექსპონატი, რომლებიც ასახავდნენ სოციალისტური იუგოსლავიის შექმნასა და განვითარებას. თბილისის საზოგადოებრიობამ ასეთი მოცულობით პირველად მიიღო თვალსაჩინო მრავალფეროვანი ინფორმაცია მეგობარი ქვეყნის შესახებ.

დამთვალიერებელთა მრავალ გამოხმაურებაში ხაზგასმულია, რომ ამ გამოფენამ ხელი შეუწყო ქართველ ხალხს უკეთ გაეცნო მოძმე იუგოსლავია, რომ იუგოსლავ მეგობართა წარმატებანიახარებენ საქართველოს მშრომელებს.

ჩვენი ექსპოზიციისადმი თბილისელ მშრომელთა ინტერესი, — თქვა გამოფენის კომისარმა ლ. გოსტიშმა, — მიგვაჩნია იუგოსლავიის ხალხისადმი მეგობრობისა და პატივისცემის გამოვლინებად, იმის სურვილად, რომ უკეთ გაიცნონ ჩვენი ქვეყნის ისტორია და კულტურა, მისი მიღწევები სოციალისტურ მშენებლობაში. ასეთი გამოფენები განამტკიცებენ ძმურ ურთიერთობას, გვეხმარებიან უკეთ გავიცნოთ ერთმანეთი. (საქინფორმი).



სკკპ XXIV ყრილობის გახსნის დღეებში ქარხანაში „კრასნოე სორმოვო" საფუძველი ჩაეყარა 3 ათასი ტონა ტვირთზიდვის მშრალტვირთა ექსპერიმენტულ ხომალდს „მეცხრე ხუთწლედი".

მშრალტვირთა ხომალდმა თავისი მოგზაურობის დროს მრავალი ზღვა გაიარა, იყო იტალიის, შვეციის, ესპანეთის, პოლონეთის, ფინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების ნავსადგურებში.

სურათზე: ხომალდი „მეცხრე ხუთწლედი" ბათუმის საზღვაო ნავსადგურში.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## „საქართველოს აგიტატორი" № 2

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის" მორიგი, მეორე ნომერი.

## სიახლე სოფლად

ტყიბული. (საკ. კორ.). სოფელ ბუეთს კარგი სიახლე შეემატა. აქ გაიხსნა კეთილმოწყობილი სასოფლო ბიბლიოთეკა. იგი მოთავსებულია ამ სოფლის მკვიდრის, აწ განსვენებული რესპუბლიკის სახალხო არტისტის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ემანუილ აფხაიძის სახლში. უახლოეს ხანში აქ მოეწყობა ხელოვნების ამ შესანიშნავი ოსტატის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალების ექსპოზიცია.

## შენდება ახალი ხიდი

ქუთაისი. (საქინფორმის კორ.). ქუთაის-მაიაკოვსკის საავტომობილო გზატკეცილზე მდინარე ყვირილაზე დაიწყო ახალი ხიდის მშენებლობა.

გათვალისწინებულია ერთ მეტრამდე სიგანის ტროტუარები ფეხით მოსიარულეთათვის. ხიდის მშენებლობაზე დაიხარჯება 1,5 მილიონი მანეთი. ახლა წარმოებს ხიდის ბურჯების მშენებლობა.

## პრეტენდენტთა მატჩებში

## ათასი საათი ემზადებოდა



### მოსკოვი

კარპოვ-პოლუგაევსკის მატჩის მეორე პარტიაში შავებით მოთამაშე მოსკოველმა გროსმაისტერმა სიცილიური დაცვის ნაიდორფის ვარიანტს მიმართა, რომელიც მას დეტალურად აქვს შესწავლილი. მით უმეტეს საინტერესო იყო ის გარემოება, რომ კარპოვმა მაინც მიიღო სადებიუტო უპირატესობა. შუა თამაშში ახალგაზრდა გროსმაისტერს შეეძლო პაიკის წინსვლით მეფის ფრთაზე „შეეხუთა" შავების ფიგურები (კომენტატორებს ძალიან მოსწონდათ ეს გაგრძელება), ან დაეშვა ამ პაიკის გავლა და მეტოქის მხედრის დამკვიდრება ცენტრალურ უჯრაზე. კარპოვმა მეორე ვარიანტს მიმართა.

პოლუგაევსკის მდგომარეობა თანდათან გაუარესდა. პასიური დაცვის შემთხვევაში მას ვერაფერი იხსნიდა. ამიტომ მან სწორი გადაწყვეტილება მიიღო — დათმო ცენტრალური პაიკი და თანდათან გაააქტიურა ფიგურები. კარპოვმა არ მოისურვა ცენტრალური პაიკის შენარჩუნება. მან პოლუგაევსკის საშუალება მისცა აღდგინა მატერიალური წონასწორობა და 43-ე სვლაზე მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

### სან-ხუანი

ბირნს ამ მატჩში ეხმარება დებიუტების ცნობილი მცოდნე ბერნარდ ცუკერმანი, თუმცა ეს გარემოება ამერიკელ გროსმაისტერს ჯერჯერობით ნაკლებად გამოადგა — სპასკი თავიდანვე იღებს ხოლმე უპირატესობას.

მესამე პარტია შეწყვეტილი იყო ბირნისათვის მძიმე პოზიციაში. ამერიკელს ეტლი ჰყავდა შავების ორი მძლავრი კუს წინააღმდეგ. თეთრების განაპირა გამსვლელ პაიკს არ გააჩნდა რეალური მნიშვნელობა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ წინააღმდეგობის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა.

ბირნმა მაინც გადაწყვიტა პარტიის განახლება, მაგრამ, ცხადია, ვერ შეძლო მისი ხსნა. 56-ე სვლაზე ამერიკელი დანებდა. ანგარიში გახდა 1:0 სპასკის სასარგებლოდ. მკითხველებს უნდა ვაცნობოთ, რომ სწორედ ასეთნაირად აღინიშნება ანგარიში, რადგან ყაიმები ამ შეჯიბრებაში ჩათვლაში არ შედის, ისინი მხოლოდ მატჩის პარტიების საერთო რიცხვში არიან გათვალისწინებულნი, რადგან, როგორც ცნობილია, 16 პარტიის შემდეგ მატჩი ყველა შემთხვევაში წყდება.

### ოგასტა

აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე კორჩნოიმ განაცხადა, რომ პრეტენდენტთა მატჩები მეტად დაძაბულად ჩატარდება, მაგრამ ის კი ნათელი არ არის, თუ რომელი მათგანი შეძლებს შემდეგ ფიშერთან გამკლავებას. მეკინგმა უფრო „ოპტიმისტური" განცხადება გააკეთა: შეიძლება სწორედ მე მოვიპოვო მსოფლიოს ჩემპიონთან შეხვედრის უფლებაო. ახალგაზრდა ბრაზილიელის სიტყვით იგი „აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ დაამარცხებს კორჩნოის", თუნდაც იმიტომ, რომ მასთან შეხვედრისათვის მზადებას 1000 საათი (!) დაუთმო. იგივე აზრი გაიმეორა მეკინგმა „ჟორნალ დუ ბრაზილისათვის" მიცემულ ინტერვიუში.

კომენტატორთა აზრით, მეკინგმა აშკარად გაუშვა ხელიდან მოგება პირველ პარტიაში, რომელიც გადადებული იყო მისთვის ზედმეტი პაიკით. აქ ახალგაზრდა ბრაზილიელისა და მისი მწვრთნელის გროსმაისტერ ულფ ანდერსონის (შვეცია) ანალიზი მცდარი აღმოჩნდა.

მესამე პარტია მძაფრად მიმდინარეობდა. 22-ე სვლაზე თეთრებით მოთამაშე კორჩნოიმ მეტოქეს ყაიმი შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. პარტია გადაიდო საინტერესო პოზიციაში, სადაც კორჩნოის ფიგურები აქტიურად არიან განლაგებულნი, მაგრამ მეკინგს სამაგიეროდ ზედმეტი პაიკი აქვს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ზედმეტი პაიკი გაორებულია.

მეოთხე პარტია კვლავ ყაიმით დამთავრდა.

### პალმა-დე-მალიორკა

პეტროსიან-პორტიშის მატჩის მეორე პარტიაში უნგრელი გროსმაისტერი თეთრებით თამაშობდა. საინტერესო თამაშის შემდეგ მეორმოცე სვლაზე ეს პარტია ყაიმით დამთავრდა. მიმომხილველთა აზრით პეტროსიანი დაადგა თავის ცნობილ ტაქტიკას, რომელიც მან წარმატებით განახორციელა 1971 წელს ჰიუბნერთან და კორჩნოისთან შეხვედრებში. ამ მატჩების მოსაგებად მისთვის საკმარისი აღმოჩნდა თითო მოგება, ყველა დანარჩენი პარტია კი ყაიმით დასრულდა.

ძნელი სათქმელია, რას მოიტანს ეს ტაქტიკა პორტიშთან შეხვედრაში.

## რეიდი მკითხველის თხოვნით

## 1. ქუდები და ქურდები...

ნათქვამია: ქურდმა რომ ვერაფერი ნახა მოსაპარავი, თავისი ქუდი მოიპარაო.

ვერ ვიტყვით, ასე იქცეოდა თუ არა ქალაქ თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის № 26 კომბინატის ოსტატი რაფაელ არტაშას-ძე ბარსეგოვი, მაგრამ ქუდებს რომ ყიდდა და ნამუსსაც თან ატანდა, ეს კი მართალია.

— ქუდის მყიდველი რაღაც კაპიკებში არ გამომედავა, თქვენ რა გინდათ, რას მერჩით?! — შეიცხადა ბარსეგოვმა, როცა მას რეიდის მონაწილეებმა უთხრეს: ოთხ მანეთად და 39 კაპიკად ღირებულ ქუდში მომხმარებელს ზედმეტად 5 მანეთი და 61 კაპიკი რატომ გადაახდევინეო.

ამ კითხვაზე პასუხი ვერც ამავე კომბინატის გამგემ გ. კალანდაძემ გასცა, რომელიც იმ დღეს რეიდის მოწმე იყო.

ასეთივე სურათი განმეორდა ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის № 2 კომბინატშიც. იქ ოსტატმა ბენიკ მეჯრის-ძე ჩაჩანაშვილმა მყიდველს ერთ ქუდში ოთხი მანეთით მეტი გამოართვა. იქვე მუნჯივით იდგა და ხმას ვერ იღებდა № 2 კომბინატის გამგე ა. ზხეიძე.

რეიდის მონაწილენი პროდუქციის ზედმეტ ფასებში გაყიდვის ფაქტებს წააწყდნენ აგრეთვე ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის № 1 (ოსტატი ა. ხაჩატუროვი), № 10 (ოსტატი მ. გურიელი) კომბინატებში.

რეიდმა გამოავლინა, რომ № 14 ატელიეში (გამგე შ. ჭოლაძე) გამომჭრელმა სილვა ეგიშის ასულმა მუსიკიანმა მომხმარებელს ერთ ცალ საბანში ზედმეტად რვა მანეთი გამოართვა. ფეხსაცმლის ინდივიდუალური კერვის № 20 ატელიეს მიმღებმა თამაზ სტეფანეს-ძე ზაალიშვილმა ქალის ერთ წყვილ ტუფლში მომხმარებელს 44 მანეთის ნაცვლად 50 მანეთი გადაახდევინა.

როცა მომხმარებელს ნ. ახვლედიანს ვკითხეთ, თუ რატომ არ მოსთხოვა მან გამყიდველს საბნის საფასურიდან კუთვნილი ხურდა, გულისტკივილით გვიპასუხა; — რა მექნა, გამყიდველმა ეს ფასი მითხრა, საბანს კი ღირებულება არ ეწერა.

## 2. როცა ტაქსი გარაჟში შედის...

არა ერთი და ორი საჩივარი შედის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებსა და რედაქციებში ტაქსის ისეთ მძღოლთა შესახებ, რომლებიც კლიენტებს უსულგულოდ ეპყრობიან. თუ მგზავრი არ მოეწონებათ, გვერდით ჩაუქროლებენ, აბუჩად იგდებენ... ხოლო თუ კუთვნილი ხურდა მოსთხოვე, ნამუსზე შეგაგდებენ, ყურს მოიყრუებენ და, ბოლოს, თუ მაინც შეჰკადრე რამე, მიგძლანძღავენ კიდეც.

რეიდის მონაწილენი დააინტერესა ერთ-ერთი კლიენტის შენიშვნამ, მაინც საღ მიაქვთ ტაქსის მძღოლებს ამდენი ხურდა ფული. მივაგენით სხვადასხვა გზით მოხვეჭილი ფულის პირველი „გასაღების" წყაროს.

როგორც ყოველთვის, იმ დღესაც თბილისის № 2 ტაქსომოტორების გარაჟში თავის დროზე ბრუნდებოდნენ დაღლილი მძღოლები. ზოგი მოლარისკენ მიიჩქაროდა, ზოგიც დისპეტჩერისაკენ. ნამდვილად ათასნაირი საქმეები ჰქონდათ მოსაგვარებელი. რეიდის მონაწილეთა ყურადღება მიიპყრო ავტომანქანის მორიგე მრეცხავმა ილია ჯორჯაძემ, რომელიც ციბრუტივით ტრიალებდა ავტომანქანების გარშემო.

— ბიჭო, ამდენი ხურდა ფული საღ წაიღო! — თითქოს საყვედურით მიმართა ი. ჯორჯაძემ მძღოლს და მის მიერ ნაბოძები ხურდა ფული ჯიბეში ჩაიჩხრიალა.

— არ იცოტავო, ხომ იცი, ზღვა წვეთებისაგან შედგება! — დაამშვიდა მეორე მძღოლმა და მანაც მუჭით გაუწოდა ხურდა.

სწორედ ამ დროს რეიდის მონაწილეებმა ილია ჯორჯაძეს სთხოვეს ეჩვენებინა მათთვის იმ დღის „შემოსავალი". მას შემოწმებისას ჯიბეზე 106 მანეთი აღმოაჩნდა. აქედან მარტო 61 მანეთი ლითონის ხურდა ფული იყო, ჯიბეს უგლეჯდა მისი სიმძიმე.

— რატომ გიკვირთ? — თვალი თვალში გაგვიყარა მორიგე მრეცხავმა, ტაქსების მძღოლებსა და ჩვენ ყველგან კარგახანია დაკანონებული გვაქვს ეს ამბავი!

არ უთქვამს ტყუილი. მსგავსი „ხურდა" აღმოაჩნდათ ამავე საწარმოს დისპეტჩერებს გიორგი ხეცურიანს, ზოია თეიმურაზოვს, ნინო ლუდუშაურს.

რატომ ხდება ასე? ამაზე პასუხი უნდა გაგვცენ საყოფაცხოვრებო მომსახურების თბილისის სამმართველომ და თბილისის ტაქსომოტორების საწარმოო გაერთიანებამ.

რეიდის მონაწილენი: გ. შალამბერიძე — თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსი, თ. ბაშელეიშვილი, — მილიციის კაპიტანი; ვ. სუხიშვილი — ზეინკალი, კომუნისტური შრომის დამკვრელი, ა. გოცირიძე — „კომუნისტის" სპეც. კორ.

## თუ ჯანმრთელობა გვინდა

## მარილი და სისხლის წნევა

ვის არ ახსოვს, რომ რობინზონ კრუზომ დიდხანს ვერ მიაჩვია თავისი ერთგული პარასკევა მარილს, რომ პარასკევა იფურთხებოდა და იმასაც კი გაიძახოდა, რომ მარილი გულს მირევსო. ეს მწერლის გამონაგონი კი არ არის. ცნობილია, მაგალითად, რომ ზულუსები XIX საუკუნის დასაწყისშიც კი არ იცნობდნენ მარილს და არ ხმარობდნენ მას. ჩვენს დროშიც არიან ტომები, რომლებიც სრულებით არ იყენებენ სუფრის მარილს. ასეთია ფილიპინების კუნძულებზე მცხოვრები ტომი ტასადაი მანუბე. მკვლევარნი ამტკიცებენ, რომ ამ ტომების ადამიანები სავსებით ჯანსაღი, მაგარი და ამტანი არიან.

ჩვენ კი ჩვეულებრივად მარილს ვუმატებთ ყოველ საჭმელში. ზოგი ერთ მწიკვს სჯერდება, სხვას კი სავსე სამარილე უნდა მიართვა. მართლა ზომიერია დავსვათ კითხვა: რამდენად გამართლებული და საჭიროა ასეთი დამატება? ზიანს ხომ არ აყენებს მარილი ჯანმრთელობას?

ქლოროვანი ნატრიუმი (სუფრის მარილი) — დიდმნიშვნელოვანი და ორგანიზმისათვის აუცილებლად საჭირო მინერალური ნივთიერებაა. ადამიანის სისხლს სწორედ იმიტომ დაჰკრავს მარილის გემო, რომ იგი ქლოროვან ნატრიუმს შეიცავს, სხვა ნივთიერებებთან ერთად იგი იცავს საჭირო შინაგან წნევას ორგანიზმის ქსოვილებსა და სითხეებში, მონაწილეობს ნახშირორჟანგის გადატანაში, წყლის ცვლის, მჟავათა და ტუტეთა წონასწორობის რეგულაციაში.

დროთა განმავლობაში განმტკიცდა აზრი, რომ ადამიანის ჩვეულებრივი საჭმელი შეიცავს ყველა მინერალურ ნივთიერებას, რომლებიც საჭიროა ორგანიზმისათვის და მხოლოდ ქლოროვანი ნატრიუმი უნდა შევგქონდეს გარედან, ვუმატებდეთ, მაგრამ ექსპერიმენტებმა ეს დებულება არ დაადასტურა. ნორმალურ პირობებში ორგანიზმი საჭმელთან ერთად შესული პროდუქტებიდან „იღებს" ქლოროვან ნატრიუმს სწორედ იმ რაოდენობით, რაც მისთვის საჭიროა — არც მეტს, არც ნაკლებს. სუფრაზე კი საჭმელს მარილს ვუმატებთ არა ფიზიოლოგიური მოთხოვნილებით, არამედ შეძენილი გემოვნების, ჩვევის მიხედვით. და მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში, მაგალითად, ხანგრძლივი ხალაშქრო გადასვლების დროს ან ცხელ საამქროებში მუშაობისას, როცა ორგანიზმი ოფლთან ერთად გადიდებული რაოდენობით გამოჰყოფს ქლოროვან ნატრიუმს, იგი უნდა დავუმატოთ რაციონში, რათა თავიდან ავიცილოთ დეფიციტი, რომელიც უაღრესად არასასურველია, ხოლო ზოგჯერ სიცოცხლისათვის საშიშიც არის. ექიმებსაც საჭიროდ მიაჩნიათ მთელ რიგ ავადმყოფობათა დროს ხელოვნურად ახდენდნენ მარილის ბალანსის რეგულაციას — ორგანიზმში ქლოროვანი ნატრიუმის შესვლის გადიდებას, ან პირიქით, მკვეთრად შემცირებას.

მეცნიერებმა დიდი ხანია შეამჩნიეს, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი მოხმარებული მარილის რაოდენობასა და სისხლის წნევის დონეს შორის. მაგალითად, განსვენებული აკადემიკოსი ვ. ვ. პარინი აღნიშნავდა, რომ გრენლანდიელ ესკიმოსებსა და ავსტრალიის აბორიგენებს, რომლებსაც მარილი არ უყვართ, არტერიული წნევა, როგორც წესი, ძალიან დაბალი აქვთ. იაპონელმა მკვლევარმა ფუკუდამ გამოარკვია, რომ აკიტას პრეფექტურის მცხოვრებთა არტერიული წნევა დგას მაღალ ციფრებზე — დაახლოებით 172/90 მილიმეტრზე. ეს მან იმასთან დააკავშირა, რომ აქ ჭამენ ბევრ დაკონსერვებულ თევზს, ბოსტნეულს და მარილის მოხმარება კაცზე დღეში საშუალოდ 25 გრამს აღწევს, ხოლო მებაღეობის პრეფექტურა აომორში, სადაც მოსახლეობა ნაკლებად მიმართავს მარილს, არტერიული წნევის საშუალო მაჩვენებლები ვერცხლისწყლის სვეტის 132/78 მილიმეტრს არ აღემატება. ამერიკელი მეცნიერი დალი აკვირდებოდა 1346 კაცის ჯგუფს. მათ შორის ისინი, ვინც ძალიან ამარილებდა საჭმელს, 10 პროცენტზე მეტი იყვნენ ჰიპერტონიით დაავადებულნი და, პირიქით, ასეთ ავადმყოფთა მხოლოდ 0,7 პროცენტი იყო იმ ადამიანთა შორის, ვინც სუფრაზე იშვიათად იყენებდა სამარილეს. ამ დაკვირვებამ მკვლევარს პირდაპირი ექსპერიმენტები დააყენებინა, ლაბორატორიულ ცხოვრებაზე გამოირკვა: მათთვის საჭმელთან ბევრი მარილის მიცემა ყოველთვის იწვევდა ჰიპერტონიას. დალი კატეგორიულად აცხადებს: „მარილი ათეროსკლეროზის შემდეგ ჰიპერტონიის მეორე მიზეზია". სხვა მეცნიერები უფრო ფრთხილად გამოთქვამენ აზრს, მაგრამ ყველანი ერთხმად ამბობენ, რომ მარილის მოხმარების გონივრულად შეზღუდვა ხელს უწყობს ჰიპერტონიული ავადმყოფობის თავიდან აცილებას.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სოხუმის ინსტიტუტში გადაწყვიტეს შეემოწმებინათ ეს დასკვნები ადამიანთან ყველაზე ახლო მდგომ ცხოველებზე. პავიან გამადრილების საჭმელში ყოველდღე დაახლოებით ოც-ოცი გრამი სუფრის მარილის დამატება დაიწყეს. უკვე 2-3 თვის შემდეგ ყველას მკვეთრად და მუდმივად გაუდიდდა სისხლის წნევა, გაუჩნდათ დამახასიათებელი შეშუპება კიდურებისა. ახალგაზრდა ცხოველებს ძვლების ზრდის ტემპები შეუნელდათ, შესამჩნევი გახდა ძვლების გამრუდება. მაიმუნების ნაწილი დაიღუპა. განკვეთის დროს გულის კუნთსა და ღვიძლში აღმოჩნდა გამკვდარების კერები, ხოლო კუჭში, ნაწლავებსა და ტვინის გარსში — მცირე სისხლჩაქცევები.

„მარილით გამოწვეული ჰიპერტონიის" მაიმუნზე გაკეთებული მოდელის შესწავლა იმის დამაჯერებელი დადასტურებაა, რომ ჩვენც — ადამიანები — უნდა ვერიდებოდეთ საჭმლის დამლაშებას. მით უმეტეს, რომ ეს კეთდება ჩვეულებრივად გემოვნებით ჩვევების გულისათვის და არ ემყარება ორგანიზმის ნამდვილ მოთხოვნილებებს.

გ. ჩერკოვიჩი,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.



## პრემია ქართველ მხატვარს

მხატვარ-კარიკატურისტს გივი ლომიძეს კარგად იცნობს ქართველი და არა მარტო ქართველი მკითხველი. მისი გონებამახვილური და ღრმა სატირული კარიკატურები, ჩვენი ყოფა-ცხოვრების მანკიერ მხარეებს რომ ამათრახებენ, ხშირად იბეჭდება ჟურნალ „ნიანგის" ფურცლებზე.

მაგრამ გ. ლომიძე განსაკუთრებით ნაყოფიერად პოლიტიკური კარიკატურის ჟანრში მუშაობს. მის კარიკატურებს ახასიათებს საერთაშორისო მოვლენის შინაარსში ღრმად ჩაწვდომა და გააზრება, კარიკატურული გამომსახველობითი ფორმის ძიება, პოლიტიკური სიმძაფრე. მისი ნაწარმოებები იბეჭდება გაზეთ „პრავდაში", ჟურნალ „კროკოდილში". იგი აქტიურად თანამშრომლობს ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც. გ. ლომიძეს არაერთხელ მოუპოვებია პოლიტიკური კარიკატურის საერთაშორისო გამოფენის ლაურეატის წოდება და მედალი.

და აი მხატვრის კიდევ ერთი აღიარება. გ. ლომიძის ჟურნალ „კროკოდილის" ფურცლებზე 1973 წელს გამოქვეყნებული ერთ-ერთი საუკეთესო პოლიტიკური კარიკატურისათვის „ისრაელური ბუზმჭერი" ჟურნალის ყოველწლიური პრემია მიენიჭა.

ქვემოთ ვბეჭდავთ ამ ნამუშევარს.

„ისრაელური ბუზმჭერი"

გ. ლომიძის ნახატი.

## „სპორტლოტოს" ტირაჟი

20 იანვარს მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი ტირაჟი, რომლის შედეგები ასეთია:

„სპორტლოტო" — 42 (ძალოსნობა), 10 (საბუერო სპორტი), 32 (წყალხტომა), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 12 (წყალ-სამოტორო სპორტი), 8 (კრივი).

„სპორტლოტო-2" — 25 (თხილამურები-ტრამპლინი), 20 (ბაიდარა და კანოე), 44 (ფიგურული ციგურაობა), 12 (წყალ-სამოტორო სპორტი), 29 (საპარაშუტო სპორტი), 22 (ციგურები). (საკდესი).

## რამდენიმე სტრიქონით

◆ კალათბურთი. საბჭოთა კავშირის კალათბურთელთა ნაკრები გუნდი შეხვდა ბრაზილიის ნაკრებს სან-პაულუს მახლობლად ქალაქ კამპინასში და დამარცხდა ანგარიშით 72:75.

საბჭოთა და ბრაზილიელი კალათბურთელები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს სან-პაულუში, შემდეგ ორჯერ ითამაშებენ რიო-დე-ჟანეიროში და ბოლოს ქალაქ ბრაზილიაში.

◆ ციგურაობა. სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა ლენინგრადელმა ნ. სტატკევიჩმა. ალმა-ათაში გამართულ შეჯიბრებებში მან დიდი მრავალჭიდის ჯამში მოაგროვა 186,684 ქულა (500 მეტრი—44,85, 1500 მეტრი —2 წუთი, 19,21 წამი, 1000 მეტრი—1.31,69, 3000 მეტრი — 4.57,52). ვერცხლის მედალი დაიმსახურა კიეველმა ტ. შელეხოვამ — 189,581, ბრინჯაოსი — ჩვენი ქვეყნის 1973 წლის ჩემპიონმა სვერდლოვსკელმა ლ. სავრულინამ — 189,698.

◆ ფრენბურთი. რიგის „რადიოტექნიკის" სპორტსმენებმა გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიის „რუდა ჰვეზდას" გუნდთან განმეორებით მატჩში — 3:0 (15:11, 15:10, 15:6), და გავიდნენ ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშების ნახევარფინალში.

დამთავრდა ჩვენი ქვეყნის ქალთა ჩემპიონატის პირველი ტური, რომელიც ორ ქალაქში ტარდებოდა. ვოროშილოვგრადში „ისკრამ" 5 ქულა მოაგროვა, მოსკოვის „ლოკომოტივმა" — 3 ქულა, მოსკოვის „დინამომ", ტაშკენტის „ავტომობილისტმა" და კიევის „ბურევესტნიკმა" — ორ-ორი ქულა, სვერდლოვსკის „ურალოჩკამ" — 1 ქულა. ლენინგრადში არმიის ცენტრალურმა სპორტულმა კლუბმა — 5, ოდესის სამედიცინო ინსტიტუტმა—4, ბაქოს „ნეფტჩიმ"—3, ლენინგრადის „სპარტაკმა" — 2, ლენინგრადის „ბურევესტნიკმა — 1, დონეცკის „ავტომობილისტმა" — 0.

◆ ჰოკეი. ტურნირის ლიდერებმა — „კრილია სოვეტოვის" ჰოკეისტებმა ანგარიშით 3:7 (2:3, 1:2, 0:2) წააგეს შეხვედრა მოსკოვის დინამოელებთან.

◆ ბურთიანი ჰოკეი. ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ ტურში აღრიცხულია შემდეგი შედეგები: ალმა-ათის „დინამო" — ულიანოვსკის „ვოლგა" — 2:6 (1:1), „ვოდნიკი" — „ურალსკი ტრუბნიკი" — 3:3, (2:1), ხაბაროვსკის არმიის სპორტული კლუბი — „კუზბასი" — 5:1 (4:1), „ვიმპელი" — „ზორკი" — 5:2 (1:1), ლიტეიშჩიკი" — „სტარტი" — 6:2 (4:1), „ლოკომოტივი" — „ენისეი" — 2:4 (1:1).

## შემთხვევა გზაზე

ონი. (საკ. კორ.). მძღოლი გ. გოგრიჭიანი თავისი ავტომანქანით ჭიორიდან ონში ბრუნდებოდა. მოულოდნელად სოფლის ხიდთან მას ოთხი მგელი შემოეფეთა. მძღოლი არ დაიბნა, მანქანით მგლის ხროვაში შეიჭრა. ერთი იქვე მოკლა, დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს.

მძღოლმა მგლის ტყავი ონის მონადირეთა საზოგადოების კავშირს ჩააბარა.

## ამინდი

დღეს, 22 იანვარს, დასავლეთ საქართველოში ღრუბლიანი ამინდია მოსალოდნელი, ზოგან ძლიერი ნალექი, მთებში თოვლი, სანაპირო რაიონებში იქროლებს წამში 12-18 მეტრი სიძლიერის დასავლეთის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 2-6 გრადუსი სითბო, მთაში ნული — 4 გრადუსი ყინვა.

აღმოსავლეთ საქართველოს დასავლეთ რაიონებში ნალექია მოსალოდნელი, მთებში თოვლი, მტკვრის ხეობაში იქროლებს წამში 18-25 მეტრი სიძლიერის ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ნული — 5 გრადუსი სითბო, მთაში 1-6 გრადუსი ყინვა.

თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობა იქნება, მცირე ნალექი, იქროლებს წამში 7-12, ქალაქის გარეუბანში 12-18 მეტრი სიძლიერის ჩრდილო-დასავლეთის ქარი. ტემპერატურა 3-5 გრადუსი სითბო.

## ტელევიზია

### 22 იანვარი

#### პირველი პროგრამით

10.35 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.45 — კინონარკვევი, 11.00 — სკოლების დასახმარებლად — მათემატიკა (VI-კლასელთათვის. კუთხის ბისექტრისის თვისება), 11.25 — მხატვრული ფილმი „სპორტი, სპორტი, სპორტი", 16.30 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექციები ქართულ ენაში, 17.15 — ბიოლოგიაში, 18.00 — განცხადებები, 18.05 — ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 18.45 — „ემირის ნავალეები", 19.00 — კინონარკვევი, 19.10 — „სპორტული მიმოხილვა", 19.30 — „მსოფლიო დღეს", 19.45 — „ლენინის კურსით" — გადაცემა ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმიდან (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — „კინოლენინიანა", 21.35 — სატელევიზიო ფილმი, 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით, 23.10 — ახალი ამბები.

#### მეორე პროგრამით

18.05 — სკოლების დასახმარებლად — რუსული ენა, 18.35 — კინონარკვევი, 18.45 — სკოლების დასახმარებლად — ინგლისური ენა, 19.15 — სატელევიზიო დადგმა, 20.30 — განცხადებები, 20.35 — მხატვრული ფილმი „ბიჭუნები ლივების კუნძულიდან".

## რადიო

### 23 იანვარი

#### პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ფრაგმენტები ოპერეტებიდან, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — დ. კაბალევსკი. მესამე საფორტეპიანო კონცერტი. 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — „მწერალი და ცხოვრება", 12.10 — ახალგაზრდობისათვის „პირადად ვაგებ პასუხს", 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის" მოწინავე სტატია, 13.40 — გ. კოკელაძე. კამერული ნაწარმოებები, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.40 — ყველაზე პატარებისათვის: ლაპარაკობს რადიოსადგური „ციცინათელა", 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — ქართული საორკესტრო პიესები, 18.45 — ნ. რიმსკი-კორსაკოვი. ნაწყვეტები ოპერიდან „თოვლის ქალი", 19.00 — საუბარი „ერთიან მწყობრში" (ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს შექმნის 25 წლისთავის გამო), 19.15 — თ. ხოდოროვსკი. ფანტაზია დუნაევსკის ოპერეტის „გზა ბედნიერებისაკენ" თემებზე, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — მღერის გუნდი ჯ. მიტჩელის ხელმძღვანელობით, 20.20 — ბ. ასაფიევი. ნაწყვეტები ბალეტიდან „ბახჩისარაის შადრევანი", 20.30 — რადიოჟურნალი „თბილისი-ბაქო-ერევანი". ტრანსლაცია ბაქოდან, 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — ბ. კვერნაძე, ვ. აზარაშვილი, ს. ნასიძე, კამერული ნაწარმოებები, 21.55 — ზ. ვოსკრესენსკაია. „სახლი კლდეზე". რადიოდადგმა, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — საესტრადო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

## ნახეთ, ნუ გამოტოვებთ

## თეატრები

### 22 იანვარი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხანუმა; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ქვაჩის შვილების მამა.

## ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. დ. ვ. როგავა დანიშნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 49 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა საქმეთა მმართველის მოადგილე
რობერტ არჩილის-ძე დვალიშვილი

„კომუნისტი"

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380008 თბილისი-8 ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეები—99-23-08, 99-03-09, პ/მ მდივნის — 99-72-80, სამდივნო — 99-66-10. განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61. პროპაგანდის — 93-22-93 მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90 უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 08020

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.